

საჭარმო ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის და საპრეზიდენტო რისკების შეფასების მოდელები და მთოლემები

გია სურგულაძე, ციური ფხაკაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რეზიუმე

განიხილება საჭარმო ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის განსაზღვრის მოდელის აგება ექსპერტულ შეფასებათა მეთოდების საფუძველზე, მისი კავშირი საფინანსო საბანკო სისტემასთან კრედიტის მოპოვების მიზნით. წარმოდგენილია კრედიტების რისკ-მენეჯერის ანალიზის ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციისთვის სისტემის მოთხოვნილებათა განსაზღვრა UML ტექნოლოგით. შემოთავაზებულია ამ სისტემაში ბანკის აუდიტის მიერ ფირმის საკრედიტო რისკის გაანგარიშების ალგორითმი ალტმანისა და ფულმერის მოდელების საფუძველზე. განიხილება „ორგანიზაცია-ბანკის“ ტანდემურ ავტომატიზებულ სისტემაში ინფორმაციის გაცვლის პროცესის ორგანიზაციის კონცეფცია სერვის-ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე. გამოყენებულია პიბრიდული აპლიკაციების დაპროგრამების თანამედროვე ტექნოლოგიები WPF და WCF პაკეტების ბაზაზე Visual Studio.NET Framework 4.0/4.5 გარემოში.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული სისტემა. საფინანსო ბანკი. საკრედიტო რისკ-მენეჯმენტი. ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე. ექსპერტულ შეფასებათა მეთოდები. UML.


1. შესავალი

ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის შეფასების ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაცია და მის საფუძველზე აპროცესი ანალიზის ჩატარება სტრატეგიული გეგმების შესამუშავებლად. ანუ საქმე გვაქვს გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ სისტემასთან [1].

პროდუქციის წარმოების (ან მოშააზურების) ფირმების ფუნქციონირება მკაცრადაა დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკასთან, სადაც გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი (ხელისშემწლელი თუ ხელისშემწყობი), რათა მისი ბიზნესი იყოს მომგებანი. წარმატებული ბიზნესის მართვის პროცესი ხშირად მოითხოვს ინვესტიციებს, გადაიარაღების პროცესებს, ინტეგრაციას და, რა თქმა უნდა, ამ პერიოდში ხშირად ფირმას სჭირდება საბანკო კრედიტების აღებაც. ორგანიზაციების ურთიერთობა საფინანსო ბანკებთან კრედიტების მისაღებად კარგად ჩამოყალიბებული ბიზნეს-წესების სისტემაა.

1-ელ ნახაზზე მოცემულია „ფირმა-ბანკის“ ტანდემის პარტნიორული, ეფექტური თანამოღვაწეობის კავშირების რეალიზაციის მიზნით მხარდამჭერი კომპიუტერული სისტემის კონცეფციის შემუშავების ზოგადი სტრუქტურული სქემა, მართვის საინფორმაციო სისტემების აგების საერთაშორისო სტანდარტების, საფინანსო და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების და თანამედროვე პროგრამული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე, ობიექტ-, პროცეს- და სერვის-ორიენტირებული არქიტექტურებით (ნახ.1).

ბანკის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სწორედ საკრედიტო რისკების მართვაა [2]. რისკების მოდელირებას და შეფასებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც საჭარმო ფირმებში (r1), ასევე საბანკო სისტემაში (r2) [3]. დამოკიდებულება „ბანკი-ფირმა“ (R_{i,j}) ზოგადად ასახავს საკრედიტო ურთიერთობას, რომელიც მოიცავს რისკ-მენეჯერის (ან აუდიტის) მიერ საკრედიტო რისკის შეფასებას ფირმაში და შემდგომ მონიტორინგის პროცესებს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ფირმის მხრიდან კრედიტების აღება და იგი დასაბუთებული უნდა იყოს ეკონომიკურად და მეცნიერულად. ასეთ დროს ფირმას შეიძლება პრობლემები პქნდეს და მისი „გადარჩენის გზა“ კრედიტების აღებას უკავშირდებოდეს.



ნახ.1. „ბანკი-ფირმა“ ობიექტის მხარდაჭერი სისტემის აგების კონცეულია


საზღვარგარეთის მოწინავე პრაქტიკები და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ „მუნიცილული კონსულტინგი“ მენეჯმენტის სფეროში მნიშვნელოვანია და აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ექსპერტული ცოდნის მოპოვების, გადამუშავების და გამოყენების მეთოდების შემუშავებას, რომლის საფუძველზე შესაძლებელია წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის მოდელირება და შეფასება, შემდეგ კი გადაწყვეტილების მიღება [1,3].

2. წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის მოდელირება ექსპერტულ შეფასებათა მეთოდი

საწარმოო ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის განსაზღვრის მიზნით ვიყენებთ ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდს, რომელიც ორგანიზაციის წლიურ საწარმო-სამეცნიერო ანგარიშის მაჩვენებლებზეა დამოკიდებული [1]. მისი ზოგადი სტრუქტურა მოცემულია მე-2 ნახაზზე.

ექსპერტის (აუდიტის) მიერ ხდება სამეცნიერო-საფინანსო ანგარიშების ანალიზი და ფირმის ფუნქციური სპეციალისტების გამოკითხვა, 1-ელ ცხრილში ასახული სტატისტიკური და ექსპერტული მონაცემების შეკრება და შემდგომი ავტომატიზებული დამუშავება.

მე-3 ნახაზზე მოცემულია საწარმოო ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის შეფასების მაჩვენებლებითა სისტემის სტრუქტურა. ყოველებური ფუნქციაა, რომელიც თავის მხრივ ქვედა დონეების მაჩვენებლებზეა (Y_{i,j}, X_{i,j,v}) დამოკიდებული (ცხრ.2). ჩვენ შემოხვევაში ასეთი სტრუქტურის საფუძველზე ანგარიშებისათვის ვიყენებთ სუპერპოზიციის განტოლებათა სისტემას:



ნახ.2. ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის შეფასების მოდელი

$$Y_k = \sum_{i=1}^4 k_i * Y_i ; \quad Y_i = \sum_{j=1}^n k_{ij} * Y_{ij} ; \quad Y_{ij} = \sum_{\gamma=1}^m k_{ij\gamma} * Y_{ij\gamma}$$

სადაც m და n იღებს განსაზღვრულ მნიშვნელობებს კონკრეტულ შემთხვევაში. k_i , k_{ij} და $k_{ij\gamma}$

კოეფიციენტები შეიძლება ექსპერტულად, სუბიექტური შეფასებების საფუძველზე. მაგალითად:

$$Y_k = 0,25*Y_1 + 0,33*Y_2 + 0,4*Y_3 + 0,38*Y_4$$

ძირითადი პირობაა:

$$\sum k_i = 1$$

რაც ჩვენ მაგალითში რეალიზებულია:

$$0,25 + 0,33 + 0,4 + 0,38 = 1.$$

ნახ.3. „ორგანულ“-დონის შეფასების სისტემის მოდელი

როგორც აღნიშნეთ, საწყის მონაცემთა შეგროვება ხდება ექსპერტულ შეფასებათა, პერძოდ „დელფის“ (ხარისხის მიზანით) მეთოდის გამოყენებით [5]. ექსპერტებად მოიაზრებან ფირმის მენეჯმენტის სპეციალისტები, აუდიტები და სხვა, ანუ ვინც კარგად ერკვევა საპრობლემო სფეროში.

მონაცემთა ბაზის საწყისი მაჩვენებლები - { $X_{i,j}$ }

ცხრ.1

შეფრთხი	ფორმატი	დასახელება
Firm_Id	Numeric	საწარმოს იდენტიფიკატორი
Dep_Id	Numeric	საწარმოს ქვედანყოფის იდენტიფიკატორი
X6	Float(9.2)	უმაღლეს ხარისხის პროდუქციის წლიური მოცულობა (ლარი)
X7	Float(9.2)	სასაქმიანო პროდუქციის წლიური მოცულობა (ლარი)
X8	Numeric	ორიგინალური ნაწილების დამზადების შრომატევადობა
X9	Numeric	წლიური გამოსაშვები პროდუქციის დამზადების საერთო მრომატევადობა
X10	Float(7.2)	მიღწეული ტექნიკური თვითდირებულება
X11	Float(7.2)	საბაზო ტექნიკული თვითდირებულება
X12	Float(7.2)	რევლამაციით მიღებული დანაკარგები
...
X139	Numeric	კვართომიკური ეფუძებურობის წორმატიულობის კოეფიციენტი
X140	Float(9.2)	მირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნვის საშუალებების სახურო-წლიური ღირებულება (ათასი ლარი)
X141	Float(9.2)	წლიური სასაქმიანო პროდუქციის მოცულობა უცვლელ ფასებში (ლარი)


მონაცემთა ბაზის გაანგარიშებადი მაჩვენებლები - { Y }

ცხრ.2

შეფრთხი	ფორმატი	დასახელება
Y _{cij}	Float	კომპლექსური მაჩვენებლის მნიშვნელობა
Y _{11j}	Float	შრომის საგნის დონის მნიშვნელობა
Y _{21j}	Float	წარმოების საშუალებების დონის მნიშვნელობა
Y _{31j}	Float	შრომის დონის მნიშვნელობა
Y _{41j}	Float	ტექნიკურ-კონსოლიკური მაჩვენებლების დონის მნიშვნელობა
Y _{311j}	Float	წარმოების ორგანიზაციის დონის მნიშვნელობა
Y _{321j}	Float	შრომის ორგანიზაციის დონის მნიშვნელობა
Y _{331j}	Float	მართვის ორგანიზაციის დონის მნიშვნელობა
Y _{3111j}	Float	მირითადი წარმოების დონის მნიშვნელობა
Y _{3121j}	Float	ინტერუმებული წარმოების დონის მნიშვნელობა
Y _{3131j}	Float	დამსახურე მეურნეობის დონის მნიშვნელობა
Y _{111j}	Float	უმაღლეს ხარისხის პროდუქციის გამოშვების დონე
Y _{121j}	Float	ნაკარგების უზრიგოვაციის (სტანდარტიზაციის) დონე

Y3112ij	Float	წარმოების რითმულობის დონე
Y3113ij	Float	წარმოების წაკადურობის დონე
Y3114ij	Float	მოწყვიტილობების დატვირთვის დონე
Y3115ij	Float	მოწყვიტილობების გამოყენების დონე
Y3116ij	Float	წარმოების უწყვეტობის დონე
Y3117ij	Float	წარმოების კონკრიტურობის დონე
Y3118ij	Float	წარმოების უტილიზაციის დონე
Y321ij	Float	მრავალჩარხული მომსახურების დონე
Y322ij	Float	შრომის ბრიგადულობრივი მომსახურების დონე
Y323ij	Float	პროფესიათა შეთავსების დონე
Y324ij	Float	შრომის მექანიზაციის დონე
Y325ij	Float	შრომის წილირების დონე
Y326ij	Float	სამუშაო დროის გამოყენების დონე
Y327ij	Float	კადრების დენადობის დონე
...	...	
Y328ij	Float	კადრების კვალიტეტაციის გამოყენების დონე
Y331ij	Float	მართვის ფუნქციების ავტომატიზაციის დონე
Y332ij	Float	საწყობებისა და სამქროებრი ავტომატიზაციის დონე
Y333ij	Float	მმართველობითი მრომის ტექნიკური შეიარაღების დონე
Y336ij	Float	მართვის აპარატის სტრუქტურის რაციონალობის დონე
Y338ij	Float	პროდუქციის მიწოდების გეგმის შესრულების დონე
Y339ij	Float	გარემოს დაცვის დონე (გამდინარე წყლობი, საჰაერო გარემოს მდგომარეობა)
Y41ij	Float	სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების დონე
Y42ij	Float	ნორმატულ-სუფთა პროდუქციის გეგმის შესრულების დონე
Y43ij	Float	შრომის ნაყოფიერების დონე
Y44ij	Float	ნედლეულისა და მასალების გამოყენების დონე
Y45ij	Float	საწვავის გამოყენების დონე
Y46ij	Float	ელექტროენერგიის გამოყენების დონე
Y47ij	Float	რეწრაბელობის დონე
Y48ij	Float	ფონდუკუფების დონე

ფირმაში კონტრაქტით მოწევული კონსულტანტი ახორციელებს შეკრებილ მონაცემთა გადამუშავებას, შედეგების ანალიზს. თუ ჯგუფური შეფასება ხასიათდება მათი საშუალო მნიშვნელობიდან (ან მედიანიდან ექსპერტულ შეფასებათა კვარტილების ღერძზე) დიდი გაპნევით, მაშინ საპრობლემო საკითხი კონსულტანტის მიერ კვლავ გატინება განსახილებად ექსპერტთა ჯგუფში. ხდება „ექსპრემისტი“ ექსპერტების (რომელთაც დამული საკითხი შეფასეს მნიმალური და მაქსიმალური ბალებით) აზრის მოსმენა. დისკუსიის შემდეგ სემენორედ ხდება მონაცემთა შეგროვება, რაც ყოველთვის ხასიათდება გარკვეული ცვლილებებით. ასეთ დროს გაბნევის აბიტუდა კლებულობს, ანუ ჯგუფური აზრი უახლოვდება მედიანს. „დელფის“ მეთოდის შემდეგ გამოიყენება „პატერნის“ მეთოდი, რომელიც რაოდენობრივი შეფასებისთვისაა გამიზნული (ნახ.4).




ნახ.4. „პატერნი“ მეთოდისთვის მიზნობრივი სტრუქტურის გრაფი

მიზნის ხის გრაფზე ექსპერტულად ფასდება თითოეული ფაქტორის (გავლენა მიზანზე) და ღონისძიების (გავლენა ფაქტორზე) კოეფიციენტები (0.4, 0.25, 0.20, 0.15 და ა.შ.). ჯამი უნდა იყოს 1-ის ტოლი.

- a_1 ღონისძიების გავლენა მიზანზე იქნება: $0.5 \times 0.4 = 0.2$;
- a_2 ღონისძიების - : $0.3 \times 0.4 + 0.4 \times 0.25 = 0.22$;
- a_3 ღონისძიების - : $0.3 \times 0.4 = 0.12$;
- a_4 ღონისძიების - : $0.2 \times 0.4 = 0.2$ და ა.შ.

ამგვარად, ა2 ღონისძიების გაცლენა მიზანზე ყველაზე ღომინირებადია და მისი პირველ რიგში რეალიზაციაა სასურველი. რა თქმა უნდა, შეიძლება C - კოეფიციენტების გათვალისწინებაც, რომლებიც ღონისძიებათა განხორციელების ინვესტიციურ ხარჯებს შეესაბამება.

აღწერილი მეთოდების ალგორითმიზაცია და პროგრამული სისტემის დაპროექტება-რეალიზაცია UML-ტექნოლოგის შესაბამისად სრულდება [5]. მის პირველ ეტაზზე ჩვენ განვსახლვრეთ ბიზნეს-პროცესების შენარჩს (Actions) და მათ შემსრულებლებს (Actors). ასეთი დიაგრამის ფრაგმენტი (Use Case Diagram) მე-5 ნახაზზეა მოცემული.



ნახ.5. ექსპერტულ შეფასებათა პროცესის UseCase დიაგრამის ფრაგმენტი

აქ თითოეული პრეცედენტი (ოვალი) შეიძლება გაიშალოს დეტალურ დონეზე რამდენიმე ფუნქციის სახით. მაგალითად, მე-6 ნახაზზე ნაჩენებია „რისკ-მენეჯერის ძირითადი ფუნქციების UseCase დიაგრამა“, რომელიც ცალკე განხილვის თემაა და მოცემულია ქვემოთ.

სისტემის მონაცემთა ბაზის საფუძველზე (ცხრ.1) გაანგარიშებული (ცხრ.2) კომპლექსური მაჩვენებლის (Y_k) მნიშვნელობა შეუდარდება წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის შეფასების სკალას (ცხრ.3) და წარმოების კატეგორიების სკალას (ცხრ.4), რომლის საფუძველზე განისაზღვრება მოცემული ფირმის (ორგანიზაციის) „მდგომარეობა“ („ორგტექ-დონე“). მაგალითად, თუ $Y_k = 0.68$, მაშინ სკალების მიხედვით დონე „დამაკმაყოფილებელია“ და „I-კატეგორია“. შესაბამისად, ფირმის ხელმძღვანელობის (მენეჯმენტის) მიერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება მომავალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შესადგენად.

წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის შეფასების სკალა ცხრ.3

No	YC _{min}	YC _{max}	შეფასების დონი
1	0,91	1,0	საუკეთესო
2	0,71	0,9	კარგი
3	0,5	0,7	დამაკმაყოფილებელი
4	დაბალი	0,5	არადამაკმაყოფილებელი

წარმოების კატეგორიების სკალა ცხრ.4

No	YC _{min}	YC _{max}	პატეგორია
1	0,7	1,0	უმაღლესი
2	0,5	0,69	I – კატეგორია
3	0	0,49	II - კატეგორია

3. რისკ-მენეჯერის ავტომატიზებული სისტემის მოთხოვნილებათა განსაზღვრა

ახლა განვიხილოთ მეორე მხარე – ფინანსური ბანკი (ნახ.1). როგორც ცნობილია, საბანკო ოპერაციების მართვა, თავისი არსით არის რისკების მართვა და, უპირველეს ყოვლისა, რისკებისა, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო პორტფელთან (აქტივების ერთობლიობასთან), რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის შემოსავალს. ბანკი მაშინაა წარმატებული, როდესაც მის მიერ მიღებული რისკები არის გონივრული (დასაბუთებული), მართვადი და თავსდება მის ფინანსურ და კომპეტენციის საზღვრებში [3]. საბანკო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა ოპტიმალური ბალანსის პოვნა მოგების, ლიკვიდურობის და რისკის მნიშვნელობებს შორის. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რისკ-მენეჯმენტი.

- საკრედიტო რისკის ანალიზი კრედიტის გაცემის მომენტისთვის.

რისკ-მენეჯერი ანალიზებს რისკებს კრედიტის გაცემის მომენტში რისკის უარყოფითი ფაქტორების გამოვლენით და მათი შეფასებით. რისკის ანალიზი ტარდება მას შემდეგ, რაც კრედიტების განყოფილება წარმოადგენს დასკვნას, ეკონომიკური უსაფრთხოების და იურიდიული სამსახურების თანხმობით. რისკის ანალიზის წყარო არის მსესხებლის დოკუმენტები, რომლებიც წარდგენილია საკრედიტო განაცხადის განხილვისათვის (პირველად დოკუმენტები); ორგანიზაციის ოფიციალური საიტი; საარბიტრაჟო სასამართლოს საიტი; საკრედიტო ისტორიების ბიურო; საგადასახადო ინსპექციის საიტი; ანალიზური და სტატისტიკური სააგენტოები; ინფორმაციის სხვა გარე წყაროები. რისკ-მენეჯერის დასკვნა უნდა შეიცავდეს აღწერით ნაწილს, რომელმიც გათვალისწინებულია რისკის უარყოფითი ფაქტორები და დასკვნები რისკის დონის და მისი მინიმიზაციის ხერხების შესახებ (რისკის მიღების შემთხვევაში).

- საკრედიტო რისკის ანალიზი საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

კრედიტის რესტრუქტურიზაციის დროს (გაფართოება, დაფარვის გრაფიკის და საკრედიტო დოკუმენტაციის სხვა არსებითი პირობების შეცვლა), რისკ-მენეჯერი აფასებს რისკებს და ამზადებს დასკვნას ისე, როგორც წინა ეტაპზე (საკრედიტო განაცხადის განხილვისა);

- საკრედიტო რისკის კონტროლი.

იმის გათვალისწინებით, რომ დაკრედიტების პერიოდის განმავლობაში რისკები შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს), შინაგანი და გარეგანი ფაქტორების გავლენით, რისკ-მენეჯერი ახორციელებს რისკის მუდმივ კონტროლს:

- ყოველკვარტალური მონიტორინგი მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის და ფაქტორივი მოღვაწეობისა, საპროდლემო აქტივების დროულად გამოვლენის მიზნით (რისკის უარყოფითი ფაქტორების არსებობისას);

- მუდმივი კონტროლი მსესხებლის მიერ ხელშეკრულების ძირითადი პირობების დაცვის შესაბამისად (ბანკის მიმდინარე ანგარიშებში მინიმალური ბრუნვის შენარჩუნება, ვალის დატვირთვის დაცვა და ა.შ.);

- მუდმივი კონტროლი დაგირავების უზრუნველყოფის საბანკო სამსახურის და(ან) საკრედიტო განყოფილების დროულ მინიტორინგზე.

რისკის უარყოფითი ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაში, ანუ არასტანდარტული აქტივების გამოვლენის დროს (აქტივები პრობლემური დავალიანების ნიშნებით) რისკ-მენეჯერს გამოაქვს გადაწყვეტილება კრედიტის გადამდელი ამოღების შესახებ ან სთავაზობს რისკის მინიმიზაციის ხერხებს. რისკების კონტროლის მიზნით მიზანშეწონილია აღრიცხვის წარმოება სპეციფიკური მეთოდით.

- რისკების მინიმიზაცია.

რისკის ნეგატიური ფაქტორების გამოვლენის შემთხვევისას, ზემოაღნიშნული ფუნქციების შესრულების პროცესში, რისკ-მენეჯერი აფასებს იმ მოვლენების აღმოცენების ალბათობას, რომლებიც იწვევს ზარალს (დანაკარგებს), და ამზადებს წინადადებებს გამოვლენილი რისკების მინიმიზაციისთვის.

მაგალითად, ფინანსური მდგომარეობის გაუარესების დროს შეიძლება მოთხოვნილ იქნას დამატებით შემოწმდეს მსესხებლის ძირითადი კონტრაგენტები, მოთხოვნილ იქნას ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია არასახარბიერო ფინანსური მაჩვენებლის მქონე ორგანიზაციიდან, გაანალიზებულ იქნას მმართველობითი აღრიცხვის (საბუღალტრო მენეჯმენტი) და სხვ.

მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შემდგომი გაუარესების მაღალი ალბათობის შემთხვევაში რისკ-მენეჯერს შეუძლია შესთავაზოს წინადადება ბანკის საგირაო პოზიციის გაძლიერების შესახებ დამატებითი უზრუნველყოფის გაფორმებით ან სხვა ღონისძიებებით.

- ღონისძიებათა შემუშავება პრობლემურ და ვადაგადაცილებულ დავალიანებებთან მუშაობისას.

• კონტროლი შემუშავებული საკრედიტო სისტემის სწორად გამოყენებაზე სტრუქტურული განყოფილების მიერ, ნორმატიული დოკუმენტების დაცვით (მათ შორის რეზერვირებისთვისაც) და ბანკის მუშაობის ოპტიმიზაციის წინადადებების ფორმირება.


მე-6 ნახაზზე მოცემულია რისკ-მენეჯერის ძირითადი ფუნქციების UseCase დაგრამა.

4. საკრედიტო რისკების შეფასების მოღელები

რისკის გასაზომად იყენებენ მოგებათა დისპერსიას (ან სტანდარტულ გადახრას), მაგრამ საკრედიტო პირტფელის ანალიზის დროს ასეთი საზომი არასაკმარისად უფექტურია [3,7-10].

დისპერსიის ანალიზი იძლევა კარგ შედევებს, თუ მოგება/ზარალი განაწილებულია ნორმალური კანონით. ეს კანონი მდგრადია თავისი პარამეტრებით, ამიტომაც დისპერსია - ანალიზის მოსახერხებული ინსტრუმენტი: პორტფოლიის რისკის ანალიზის დროს, რამდენიმე პორტფოლიის შერწყმის დროს დისპერსიები უპრალოდ იჯამება. მაგრამ საკრედიტო პირტფელის

მოგება/ზარალი არ ემორჩილება განაწილების ნორმალურ კანონს. იგი იქნება ასიმპტოტურად ნორმალური მხოლოდ მაშინ, თუ კრედიტები იქნება გაცემული დღიდ რაოდნობის მსესხებელზე (რაც მსხვილი ბანკებისთვისაა შესაძლებელი) და თუ კომპანიების ბანკროტი დამოუკიდებელია (რაც არარეალურია პრაქტიკულად).



ნახ.6. რისკ-მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციების UseCase დიაგრამა

მეორე მხრივ, დისპერსია - რისკის სიმუტრიული ზომა, ხოლო საკრედიტო პორტფელის ანალიზის დროს მკვლევარს უფრო აინტერესებს ზარალის მიღების რისკი. პორტფელის მოგება შეზღუდულია ზემოდან და აღწევს თავის მაქსიმუმს ყველა შესტებელის მიერ ვალდებულებათა დოკუმენტი შესრულებისას.

არსებობს არაერთი მეთოდი და მოდელი აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. ჩვენ ქვემოთ შევეხებით აღტმანისა და ფულმერის მოდელებს [11,12].

4.1. აღტმანის მოდელი

მრავალი წარმატებული კვლევა ამ სფეროში იქნა ჩატარებული ბიჯურ-დისკრიმინაციელი ანალიზის საფუძველზე [11]. მაგალითად, პროფესორ ედუარდ ალტმანის კლასიკური, ფირმის გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების ხუთფაქტორიანი მოდელი (1968წ.).

მოდელის პირველი ვერსია შეიცავდა 22 სავარაუდო მნიშვნელოვან კოეფიციენტს, რომლებიც მიიღებოდა ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციიდან. მინიმალური სტატისტიკური მნიშვნელობის მქონე კოეფიციენტი ამოვარდებოდა, რის შემდეგაც მოდელის აგება და კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელობების ანალიზი მეორდებოდა.

როდესაც კოეფიციენტების რაოდენობა 5-დან მცირდებოდა 4-მდე, მაშინ მოდელის სტატისტიკური საიმედოობა მკვეთრად ეცემოდა, რამაც ალტმანი მიიყვანა დასკვნამდე, რომ 5-კოეფიციენტიანი გარიანტი არის უმჯობესი. მოდელი ზუსტად აკეთებს პროგნოზს 95% შემთხვევაში.

აღტმანის მოდელის ზოგადი სახე ინტეგრალური მაჩვენებლისათვის ასეთია:

$$Z = 1.2*X_1 + 1.4*X_2 + 3.3*X_3 + 0.6*X_4 + X_5$$

სადაც

X_1 - საბრუნავი კაპიტალი / მთლიანი აქტივები;

X_2 - გაუნაწილებელი მოგებები გასული წლების / მთლიანი აქტივები;

X_3 - მოგება პროცენტების და გადასახადების გადახდამდე / მთლიანი აქტივები;

X_4 - აქციების საბაზრო კაპიტალიზაცია / სავალო ვალდებულებათა სრული საბალანსო ღირებულება;

X_5 - რეალიზაციის მოცულობა / მთლიანი აქტივები.

როცა $Z > 2.9$, მაშინ ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია (მდგრადია); თუ $1.8 < Z < 2.9$, გვაქვს განუსაზღვრელობა; თუ $Z < 1.8$, მაშინ ფირმა იმყოფება ფინანსური რისკის ზონაში, ანუ გადახდისუნარობის დადგომა გარდაუვალია.

1983 წ. ცნობილი გახდა აღტმანის მოდელი კერძო კომპანიებისთვის, რომლებიც თავის აქციებს არ ათავსებს საფონდო ბაზარზე. მისი ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

$$Z^* = 0.717*X_1 + 0.847*X_2 + 3.107*X_3 + 0.420*X_4 + 0.998*X_5$$

X_4 - საკუთარი კაპიტალია. ეს კოეფიციენტი განხვავებულია წინა შემთხვევისგან.

როცა $Z^* > 2.9$, მაშინ ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია; თუ $1.23 < Z^* < 2.9$, გვაქვს განუსაზღვრელობა; თუ $Z^* < 1.23$, მაშინ ფირმა ფინანსური რისკის ზონაშია.

1993 წ. აღტმანმა ააგო ახალი, 4-ფაქტორიანი მოდელი არასამრეწველო ორგანიზაციების-თვის, რომელთა ინტეგრირებული მაჩვენებლი გაითვლება შემდეგი ფორმულით:

$$Z^{**} = 6.56*X_1 + 3.26*X_2 + 6.72*X_3 + 1.05*X_4.$$

Z^* და Z^{**} მოდელები იძლევა ფირმის გაკოტრების ალბათობის პროგნოზს 91%-იანი სიზუსტით ერთი წლით ადრე პერიოდისათვის.

4.2. ფულმერის მოდელი

ფულმერის გაკოტრების კლასიფიკაციის მოდელი შეიქმნა 60 ფირმის მონაცემების დამუშავების საფუძველზე. აქედან 30 ფუნქციონირებს ნორმალურად და 30 გაკოტრებულია. ფირმების მთლიანი აქტივების საშუალო მოცულობა ფულმერის შერჩევით არის 455 ათასი დოლარი [12]. მოდელის საწყისი ვერსია მოიცავდა 40 კოეფიციენტს. მოდელი ზუსტად აპროგნოზებს 98% შემთხვევას ერთი წლით ადრე და 81% შემთხვევას 2 წლით ადრე. მოდელის ზოგადი სახე ასეთია:

$$H = 5,528X_1 + 0,212X_2 + 0,073X_3 + 1,270X_4 - 0,120X_5 + 2,335X_6 + \\ + 0,575X_7 + 1,083X_8 + 0,894X_9 - 6,075$$

სადაც

- X1 - გაუნაწილებელი მოგება წინა წლების / მთლიანი აქტივები;
- X2 - რეალიზაციის მოცულობა / მთლიანი აქტივები;
- X3 - მოგება გადასახადების გადახდამდე / მთლიანი აქტივები;
- X4 - წმინდა მოგება / სრული დავალიანება;
- X5 - ვალი / მთლიანი აქტივები;
- X6 - მიმდინარე პასივები / მთლიანი აქტივები;
- X7 - Lg (მატერიალური აქტივები);
- X8 - საბრუნავი კაპიტალი / სრული დავალიანება;
- X9 - Lg (მოგება პროცენტების და გადასახადების გადახდამდე / გადახდილი პროცენტები).

როცა $H < 0$, მაშინ გადახდისუნარობის დადგომა გარდაუვალია.

ფულმერის მოდელის მდგრელების განვარიშება ზორციელდება ფირმის საბუღალტრო ბალანსის საფუძველზე. მაგალითის სახით განვიხილეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა, მისი 2014 წლის საბალანსო დოკუმენტაციის საფუძველზე. მე-5 ცხრილში მოცემულია განვარიშების შედეგები.

ფულმერის მოდელის ცხრილი ცხრ.5


i	K _i	X _i	K _i *X _i
1	5.528	0.018592	0.1028
2	0.212	0.298468	0.0036
3	0.073	0.017933	0.0013
4	1.270	3.185773	4.0459
5	-0.120	0.081363	-0.0098
6	2.335	0.02288	0.0534
7	0.575	6.5	3.7375
8	1.083	2.568903	2.7821
9	0.89	1.6	1.4304
		ჯამი:	12.1472
			-6.075
		H=	6.0722

ამგვარად, $H>0$, რისკის ფაქტორი მისაღებია, ფირმა-„სტუ” გადახდისუნარიანია.


5. პროგრამული რეალიზაცია WPF/WCF ტექნოლოგიით

პროგრამული სისტემის რეალიზაცია განხორციელდა მაკროსოფთის ფირმის ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე, როგორიცაა WPF (Windows Presentation Foundation) და WCF (Windows Communication Foundation) [13-15]. ესაა პიბრიდული აპლიკაციების აგების პროგრამული ტექნოლოგიები, რომლებშიც რეალიზებულია როგორც ობიექტ-, პროცეს- და სერვის- ორიენტირებული მეთოდოლოგიები, ასევე პროგრამული ინჟინერის მოქნილი, „მსუბუქი” და დიზაინის მდიდარი გრაფიკული ინსტრუმენტული საშუალებები.

წინამდებარე პროექტში განხორციელდა საწარმოო ფირმასა ფინანსურ ბანკს შორის ელექტრონული კავშირის პროგრამული რეალიზაცია, მომზმარებელთა ინტერფეისების, მონაცემთა ბაზების და ინფორმაციის გაცვლის პროცესების აგების ავტომატიზაციის მიზნით. მე-7 ნახაზზე ნაჩვენებია FirmsCrediting პროექტი Solution Explorer-ის ფანჯარაში, ნაჩვენებია გამოსაყენებელი სტანდარტული და სპეციალიზებული კავშირების (References) სია.



ნახ.7. პროგრამული პროექტის სტრუქტურული კომპონენტები



ნახ.8. ფირმის და ბანკის ინტერფეისები

აპლიკაციისთვის აუცილებელია ServiceHost-ის რეალიზაცია შემავალი შეტყობინებების მისაღებად. იგი პროექტის Crediting.xaml.cs ფაილში თავსძება კონსტრუქტორის წინ კლასის წევრის სახით (ლისტინგი_1).

```
//-- ლისტინგი_1 -----
public partial class MainWindow : Window
{
    private ServiceHost _sh; // !!

    public MainWindow()
    {
        InitializeComponent();
        ApplicationInterface._app = this;
    }
    ...
}
```

ServiceHost იწყება მაშინ, როცა ფანჯარა ჩატვირთულია და იხურება, როცა ფანჯარა ამოტვირთულია. მეთოდების დამატება ნაჩვენებია მე-2 ლისტინგში MainWindow კლასისთვის ჩატვირთვის და ამოტვირთვის მოვლენათა დამტუშავებლების სარეალიზაციოდ.

```
//-- ლისტინგი_2 -----
private void Window_Loaded(object sender, RoutedEventArgs e)
{
    // გაიხსნა config ფაილი და მიეცეს ფილალის სახელი და მისი ქსელური მისამართი
    Configuration config =
        ConfigurationManager.OpenExeConfiguration(ConfigurationUserLevel.None);
    AppSettingsSection app = (AppSettingsSection)config.GetSection("appSettings");
    string adr = app.Settings["BranchAddress"].Value;

    // ფილალის სახელის გამოტანა ფორმაზე
    lblBranch.Content = app.Settings["Branch Name"].Value;

    // ServiceHost-ის შექმნა
    _sh = new ServiceHost(typeof(ClientService));

    // დასასრულის წერტილის (Endpoint) დამატება
    string szAddress = "http://localhost:" + adr + "/ClientService";
    System.ServiceModel.Channels.Binding bBinding = new BasicHttpBinding();
    _sh.AddServiceEndpoint(typeof(ICreditReservation), bBinding, szAddress);

    // ServiceHost-ის გახსნა შეტყობინებების მისაღებად (listen)
    _sh.Open();
}

private void Window_Unloaded(object sender, RoutedEventArgs e)
{
    // service host-ის დატოვება
    _sh.Close();
}
```

მოვლენის დამშუშავებელი Loaded ხსნის კონფიგურაციის ფაილს და ათავსებს ფირმის დასახელებას lblBranch მართვის ელემენტში, ამიტომაც ფორმა ასახავს ლოკალური ფირმის სახელს. შემდეგ იქმნება ServiceHost თანამგზავრი (passing) ClientService კლასისა. იგი აკონფიგურირებს დასასრულის წერტილს ServiceHost-თვის, იყენებს რა ცნობილი მისამართის, მიბმის და კონტრაქტის სამეულს. Unloaded მოვლენის დამშუშავებელი უბრალოდ ხურავს ServiceHost-ს, ასე რომ აღმოჩენის შემთხვევაში მიღება.

საყურადღებოა ასევე მოვლენათა დამშუშავებლის (Event Handlers) კოდი Crediting.xaml.cs ფაილში. ახალი მოთხოვნის შესაქმნელად მომხმარებელი შეავსებს ფირმის, მისამართის, კრედიტის-მოცულობის ველებს და ამოქმედებს Send Request დილაკს. ამ მოვლენის დილაკის რეალიზება მოცემულია მე-3 ლისტინგში.

```
//-- ლისტინგი_3 -----
private void btnRequest_Click(object sender, RoutedEventArgs e)
{
    // Setup a dictionary object for passing parameters
    Dictionary<string, object> parameters = new Dictionary<string, object>();
    parameters.Add("FirmName", txtFirmName.Text);
    parameters.Add("Adress", txtAdress.Text);
    parameters.Add("CreditQ", txtCreditQ.Text);
    parameters.Add("Writer", new ListBoxTextWriter(lstEvents));

    WorkflowApplication i =
        new WorkflowApplication(new SendRequest(), parameters);

    _outgoingRequests.Add(i.Id, i);
    i.Run();
}
```

ამ მეთოდის პირველი ნაწილი იყენებს ობიექტის ლექსიკონს შემავალი არგუმენტების შესანახად, რომლებიც უნდა გადაეცეს მუშა პროცესს. შემდეგ იგი ქმნის WorkflowApplication-ს, რომლის კონსტრუქტორსაც გადაეცემა პარამეტრები: **მუშა პროცესების დეფინიცია, ობიექტის ლექსიკონი, რომელიც შეიცავს შემავალ არგუმენტებს.**

WorkflowApplication შემდეგ ემატება _outgoingRequests კოლექციას და ბოლოს, ეგზემპლარი გაიშვება Run () მეთოდით.

6. დასკვნა

ორგანიზაციული მართვის საინფორმაციო სისტემების ობიექტებზე ორიენტირებული დაპროექტების და შემდგომი რეალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საავტომატიზაციო ობიექტის წინასაპროექტო სტადიაზე, კერძოდ მისი ბიზნეს-მოთხოვნების სწორად ჩამოყალიბებასა და სისტემის შესაბამისი არქიტექტურის განსაზღვრაზე.

ორგანიზაციაში, რომელიც საწარმოო ფირმა, საფინანსო ბანკი ან მათი საკრედიტო ურთიერთგავშირია, აუცილებელია რისკების მართვის საერთაშორისო, აპრობირებული მეთოდების და მოდელების გამოყენება. სისტემური ობიექტ-ორიენტირებული ანალიზის საფუძველზე უნდა შემუშავდეს ზოგადად „ფირმის“ (საწარმო, ბანკი) ფუნქციონირების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის და ფინანსური საკრედიტო რისკების მართვის მოქნილი მოდელები, შესაძლებელია ექსპერტულ შეფასებათა მეთოდების საფუძველზე.

უნიფიცირებული მოდელირების (UML) ტექნოლოგიის გამოყენებით აიგება შესაბამისი ბიზნეს-პროცესები, ბიზნეს-წესები (UseCase და Activity დაგრამები) და მომხმარებელთა ინტერაქტიული სცენარები (Sequence-, Collaboration დაგრამები). ITIL მეთოდოლოგიის და COBIT სტანდარტებით კი შესაძლებელია უსაფრთხო პროგრამული სისტემის შექმნა და მისი სასიცოცხლო ციკლის ეფექტიანი მართვა.

მომხმარებელზე ორიგნტირებული, მოქნილი და მეცნიერული დიზაინის მქონე პროგრამული უზრუნველყოფის დაპროექტება, რეალიზაცია და ტესტირება სასურველია განხორციელდეს პროგრამული ინჟინერის თანამედროვე ინსტრუმენტებით, როგორიცაა მაგალითად ჰიბრიდული აპლიკაციების აგების .

ლიტერატურა:

1. ფრანგიშვილი ა., სურგულაძე გ., ვაჭარაძე ი. (2009). ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებებში გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი მეთოდები და მოდელები. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი
2. კომერციულ ბანკებში რისკების მართვის დებულება. (2008). საქართველოს ეროვნული ბანკი. ბრძანება N71. www.nbg.gov.ge
3. Van Gestel T., Baesens B. (2009). Credit Risk Management: Basic Concepts: financial risk components, rating analysis, models, economic and regulatory capital. Published in the United States. by Oxford University Press Inc., New York.
4. სურგულაძე გ., ოხანაშვილი მ., სურგულაძე გ. (2007). მარკეტინგის ბიზნეს-პროცესების უნიფიცირებული და იმიტაციური მოდელირება. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.
5. ბუკია გ., დოლიძე თ., სურგულაძე გ., ბ. შარაშიძე, ო. შონია. (1990). ექსპერტთა შეფასებების დამუშავების ავტომატიზებული სისტემა პერსონალური კომპიუტერებისათვის („ექსპერტი“). სახალხო მეცნიერობის მართვის ინსტ., თბილისი
6. Booch G., Jacobson I., Rumbaugh J. (2006). Unified Modeling Language for Object-Oriented Development. Rational Software Corporation, Santa Clara
7. Laurent B. From Basel 1 to Basel 3: The Integration of State of the Art Risk Modeling in Banking Regulation. Palgrave Macmillan. UK. 2006
8. Костюченко Н.С. (2010). Анализ кредитных рисков. СПб.: ИТД «Скифия».
9. Агафонова Е.О. (2010). Моделирование и оценка кредитных рисков банка (на примере коммерческого банка). Белорусский Гос.Университет. Минск.
10. სურგულაძე გ., თურქია ე., ქაჩლიშვილი თ., ფხაკაძე ც. (2014). საფინანსო კორპორაციის ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტი ITIL მეთოდოლოგიის საფუძველზე. სტუ-ს შრ.კრ., „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, №2(18), გვ. 51-56
11. Petrisor M.B., Lupu D. (2013). The Forecast of Bankruptcy Risk using Altman Model. The USV Annals of Economics and Public Administration. Vol.13, Issue 2(18), 154-164.
12. Модель Фулмера классификации банкротства. (2015). <http://anfin.ru/model-fulmera-klassifikatsii-bankrotstva/>

13. Petzold Ch. Applications=Code+Markup. A Guide to the MicroSoft Windows Presentation Foundation. St-Petersburg. 2008
14. სურგულაძე გ., (2014). კორპორაციული მენეჯმენტის სისტემების Windows developmenti: WPF ტექნოლოგია. სტუ. „IT-კონსალტინგის ცენტრი”. თბილისი
15. Collins M.J. (2010). Beginning WF: Windows Workflow in .NET 4.0. ISBN-13 (pbk): 978-1-4302-2485-3 Copyright © 2010. USA.

MODELS AND METHODS FOR ASSESSING ORGANIZATIONAL-TECHNICAL LEVEL AND CREDIT RISKS OF A MANUFACTURING COMPANY

Surguladze Gia, Pkhakadze Tsuri
Georgian Technical University

Summary

Designing a model for determining a manufacturing company's organizational-technical level based on expert evaluation methods is discussed, as well as its connection with financial and bank system for the purpose of obtaining a credit. Identification of requirements to the system of automation of credit risk managers' analytical business processes is given using UML technology. An algorithm of calculating credit risk of a firm by bank audit using the system is proposed based on Altman and Fulmer models. Concept of organizing processes of information interchange between an organization and a bank within the tandem automated system is discussed based on service-oriented approach. Modern technologies of hybrid programming (WPF and WCF packages) are used in Visual Studio.NET Framework 4.0/4.5 environment.

МОДЕЛИ И МЕТОДЫ ОЦЕНКИ ОРГАНИЗАЦИОННО-ТЕХНИЧЕСКОГО УРОВНЯ ПРОИЗВОДСТВА И КРЕДИТНЫЙ РИСКОВ

Сургуладзе Г., Пхакадзе Ц.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматриваются вопросы построения модели определения организационно-технического уровня производственной фирмы на основе методов экспертных оценок, ее связь с системой финансового банка с целью кредитования. Для автоматизированного анализа бизнес-процессов кредитного риск-менеджера представлены функциональные потребности системы на базе UML технологии. Для банковского аудита предложены алгоритмы определения кредитных рисков фирм на основе моделей Альтмана и Фулмера. Рассматривается концепция организации процессов обмена информацией между фирмами и банком в автоматизированной системе на базе сервис-ориентированного подхода. Используются современные технологии программирования гиридных приложений на основе WPF и WCF пакетов в среде Visual Studio.NET Framework.